KA030126317087620

№ 01-1096 **10 / თებერვალი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

განვიხილეთ ადმინისტრაციის უფროსის მიმდინარე წლის 30 იანვრის N01-779 წერილი, რომლითაც ითხოვს „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N653 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ:

როგორც მოგეხსენებათ, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ეფექტურად მართვის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წლის დეკემბრის ბოლოს განხორციელდა დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) სრულყოფილი დანერგვისთვის საჭირო სარგებლობის უფლების ლიცენზიის შეძენა Nordic Casemix ცენტრიდან და NordDRG Grouper პროგრამული გადაწყვეტილების (2018-2022 წლებისთვის) ლიცენზიის მრავალწლიანი შესყიდვა ფინური კომპანია PRODACAPO FINLAND OY -სგან, რომლის ღირებულება შეადგენს 120 300 ევროს დღგ-ს გარეშე (საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებულია როგორც მრავალწლიანი შესყიდვა).

პროგრამული ლიცენზიის 2018 წლის ღირებულებამ შეადგინა 31 425 ევროს ექვივალენტი ლარში, 2019 წლიდან 2021 წლის ჩათვლით ყოველწლიურად შეადგენს -29 625 ევროს ექვივალენტს ლარში (დღგ-ს გარეშე).

2018 წლის ლიცენზიის ღირებულება და შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადი გათვალისწინებული იქნა „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის" 2018 წლის პროგრამაში და გადარიცხულ იქნა 2018 წელს.

2019 წლის ლიცენზიის ღირებულება -29 625 ევროს ექვივალენტი ლარში და დამატებული ღირებულების გადასახადი, სულ 121 000 ლარის ოდენობით, გათვალისწინებული იქნა „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის" 2019 წლის პროგრამაში. 2019 წლის სექტემბერში დაიწყო NordDRG Grouper პროგრამული უზრუნველყოფის პილოტირება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების მიერ შემთხვევათა რეგისტრაციის მოდულში ატვირთული მონაცემების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების ფორმირების მიზნით. პილოტირების ეტაპზე წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების შესახებ ეცნობა "მიმწოდებელს" - Prodacapo Finland Oy-ს და პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მათი გადაჭრის სამუშაოები „მიმწოდებელთან“ ერთად, რომელიც ვერ დასრულდა დეკემბრის ბოლოს. ამიტომ სამინისტრომ ვერ განახორციელა 2019 წლის ბოლოს ყოველწლიური გადასახადის - 29 625 ევროს გადარიცხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს საჭიროა პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს 2019-2020 წლების ლიცენზიის ღირებულება 29 625-29625 ევრო, სულ 59 250 ევროს ექვივალენტი ლარში და შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადი, ჯამში 237 700 ლარი.

წარმოგიდგენთ **„სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N653 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“** საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტს. წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტით გათვალისწინებული პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს **17 265.9 ათას ლარს.**

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს აღნიშნული დადგენილების პროექტის მიღებისათვის/გამოცემისათვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა.

პატივისცემით,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური